

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომხადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ძირითადი საშუალებები	13
5. მარაგები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. მიღებული სესხები	14
8. სახელშეკრულებო ვალდებულება	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. ამონაგები	15
11. პირდაპირი ხარჯები	16
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

შპს მენო ინტერნეიშნლ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,600,586	5,748,393
საინვესტიციო ქონება		448,966	448,966
		6,049,552	6,197,359
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,370,889	1,453,870
გადახდილი ავანსები		768,071	231,215
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,182,945	2,160,185
საგადასახადო აქტივი		-	6,193
ფული და ფულის ექვივალენტები		37,648	22,872
		4,359,553	3,874,335
სულ აქტივები		10,409,106	10,071,694
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გადაფასების რეზერვი		5,848,249	5,876,167
გაუნაწილებელი მოგება		(12,120,816)	(10,713,063)
		(6,270,567)	(4,834,895)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	10,826,659	10,117,185
		10,826,659	10,117,185
მიმდინარე ვალდებულებები			
სახელშეკრულებო ვალდებულება	8	2,480,813	1,497,219
საგადასახადო ვალდებულება		24,265	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,347,935	3,292,186
		5,853,013	4,789,404
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,409,106	10,071,694

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი კურცხალია

ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მენო ინტერნეიშნლ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	10	4,331,444	1,629,190
პირდაპირი ხარჯები	11	(4,704,167)	(2,191,261)
საერთო მოგება		(372,723)	(562,071)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(412,286)	(360,784)
საოპერაციო მოგება		(785,009)	(922,855)
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი		12,745	66,749
ფინანსური ხარჯი		(688,114)	(658,182)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		(7,000)	120,573
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი წმინდა		18,313	984,839
ზარალი დაბეგვრამდე		(1,449,065)	(408,876)
მოგების გადასახადი			
წმინდა ზარალი		(1,449,065)	(408,876)
გადაფასების რეზერვი		13,394	370,243
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,435,671)	(38,633)

დირექტორი



გიორგი კურცხალია

7-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს პოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს მენო ინტერნეიშნლ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	5,625,073	(10,423,335)	(4,796,262)
გადაფასების ნაშეტი		251,094	119,149	
წლის წმინდა ზარალი			(408,876)	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	5,876,167	(10,713,062)	(4,834,895)
გადაფასების ნაშეტი		(27,918)	41,312	
წლის წმინდა ზარალი			(1,449,065)	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	5,848,249	(12,120,816)	(6,270,567)

7-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მენო ინთერნეიშნლ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მთლიანი სრული ზარალი	(1,435,671)	(38,633)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	246,736	246,423
დარიცხული პროცენტები	688,113	658,182
გადაფასების რეზერვის ცვლილება	(13,394)	(370,243)
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერით მიღებული შედეგი	(2,415)	(22,443)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	(128,867)	(995,722)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(645,498)	(522,435)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგების ცვლილება	82,981	(338,739)
გადახდილი ავანსების ცვლილება	(536,855)	(200,157)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(22,342)	194,908
მიღებული ავანსების ცვლილება	983,594	1,288,863
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	141,591	31,706
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	3,471	454,146
გადახდილი პროცენტი		(9,756)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	3,471	444,390
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა	14,195	53,677
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	(97,315)	(482,718)
ფულადი ნაკადების წმინდა გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(83,120)	(429,041)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	-	-
მიღებული სესხები	94,852	(17,717)
გადახდილი სასესხო ვალდებულებები	-	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება/(გაძინება) ფინანსური საქმიანობიდან	94,852	(17,717)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	15,202	(2,368)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	22,872	23,963
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(426)	1,278
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	37,648	22,872

7-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს მენო ინტერნეიშნლისთვის (შემდგომში „კომპანია“) 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2001 წელს. ის რეგისტრირებულია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ., №15 საიდენტიფიკაციო ნომრით: 208213084.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გიორგი კურცხალია	50%	50%
ირაკლი ჩიქოვანი	50%	50%

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფები და სასარგებლო მომსახურების ვადები

შენობა-ნაგებობები	10
მანქანა - დანადგარები	8
სატრანს. საშუალებები	15
სამუშაო ინვენტარი	15
ოფისის აღჭ.	8
ავეჯი და ინვენტარი	8

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის; ან

ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში“.

საწარმო საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისის შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან.

საწყისი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება რეალური ღირებულების მოდელით.

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ამ ქონების გასვლა ან სამუდამოდ შეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი არ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები) და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საწარმომ ამონაგებში არ უნდა გაითვალისწინოს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საწარმო რწმუნებულის როლში გამოდის, საწარმომ ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისათვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისის ხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

• გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

-კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირა:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენიშნა-წაგებიები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენაო ინვესტირება	ოფისის აღჭურვილობა	აგეჯი და სხვა ინვესტირება	სულ
1 იანვარი 2023	4,566,849.00	628,880.79	1,401,484.59	476,710.00	-	290,285.12	-	7,364,209.50
შემოსვლა	-	28,391.81	481,417.75	114,725.26	400,728.64	4,714.08	31,176.75	1,061,154.29
გადაფასების რეზერვი	-	79,523.80	75,637.22	168,524.73	-	3,800.00	42,757.57	370,243.32
რეკლამაციები	(448,965.91)	(88,652.23)	(489,784.06)	-	-	-	-	(1,027,402.20)
გასვლა	-	-	(57,271.22)	(50,886.50)	-	-	(4,272.96)	(112,430.68)
31 დეკემბერი 2023	4,117,883.09	648,144.17	1,411,484.28	709,073.49	400,728.64	298,799.20	69,661.36	7,655,774.23
შემოსვლა	-	-	97,315.16	-	-	-	-	97,315.16
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(11,628.26)	-	-	-	13,393.67	13,393.67
31 დეკემბერი 2024	4,117,883.09	648,144.17	1,497,171.18	709,073.49	400,728.64	298,799.20	76,935.23	7,748,735.00
დაგროვილი ცვლილება	-	-	(812,782.59)	(361,088.71)	(288,668.12)	-	-	(1,742,154.21)
1 იანვარი 2023	-	(279,614.79)	(139,143.53)	(46,603.96)	-	-	(9,303.39)	(246,423.49)
წლის ცვლილება	-	(51,372.61)	47,923.56	30,378.50	-	-	2,894.66	81,196.72
31 დეკემბერი 2023	-	(330,987.40)	(904,002.56)	(377,314.17)	-	(288,668.12)	(6,408.73)	(1,907,380.98)
წლის ცვლილება	-	(51,372.61)	(59,440.19)	(46,603.95)	(80,128.75)	(2,532.77)	(6,657.26)	(246,735.53)
გასვლი აქტივების ცვლილება	-	-	3,225.93	-	-	-	2,742.05	5,967.98
31 დეკემბერი 2024	-	(382,360.01)	(960,216.82)	(423,918.12)	(80,128.75)	(291,200.89)	(10,323.94)	(2,148,148.53)
წელი საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	4,117,883.09	317,156.77	507,481.72	331,759.32	400,728.64	10,131.08	63,252.63	5,748,393.25
31 დეკემბერი 2024	4,117,883.09	265,784.16	536,954.36	285,155.37	320,599.89	7,598.31	66,611.29	5,600,586.47

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. მარაგები

მარაგები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	1,358,426	1,442,195
სხვა	12,464	11,675
სულ მარაგები	1,370,889	1,453,870

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,495,309	2,469,999
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(312,364)	(312,364)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	2,550
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,182,945	2,160,185

7. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხის ძირი		
გიორგი კურცხალია (GEL)	(4,604,512)	(4,594,310)
გიორგი კურცხალია (EUR)	(1,729,054)	(1,755,427)
გიორგი კურცხალია (USD)	(842,040)	(806,820)
ჩიქოვანი ირაკლი	(38,000)	(38,000)
სულ მიღებული სესხის ძირი	(7,213,606)	(7,194,557)
მიღებული სესხის პროცენტი		
გიორგი კურცხალია (GEL)	(2,539,174)	(2,044,115)
გიორგი კურცხალია (EUR)	(731,988)	(614,655)
გიორგი კურცხალია (USD)	(321,482)	(248,974)
ჩიქოვანი ირაკლი	(20,410)	(14,885)
სულ მიღებული სესხის პროცენტი	(3,613,053)	(2,922,628)

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. სახელშეკრულებო ვალდებულება

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმომ ხელშეკრულება უნდა წარადგინოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

აღნიშნულ მუხლში გაერთიანებული დამკვეთისგან ავანსად მიღებული თანხები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, რომელზე მომსახურებაც ჯერ არ გაწეულა კომპანიის ძხრიდან.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	3,245,719	3,239,869
პერსონალის მიმართ ვალდებულება	32,820	32,820
სხვა ვალდებულება	69,396	19,497
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,347,935.06	3,292,185.71

10. ამონაგები

ამონაგები 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი	4,074,063	1,361,810
სხვა შემოსავალი	257,381	267,380
სულ ამონაგები	4,331,444	1,629,190

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მასალების დანახარჯები	2,085,944	763,034
პირდაპირი მომსახურების ხარჯი	1,743,481	572,709
ხელფასები	415,800	413,815
ცვეთა	237,546	237,120
სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ხარჯები	122,495	104,188
იჯარის ხარჯი	60,482	54,210
საწვავი	38,421	46,184
სულ პირდაპირი ხარჯები	4,704,168	2,191,261

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	240,970	163,620
საკონსულტაციო ხარჯები	65,530	14,451
სხვა საგადასახადო ხარჯი	38,587	22,311
კომპიუტერის ხარჯი	15,862	23,416
ინსპექტირების მომსახურება	11,441	-
ცვეთა	9,190	9,303
კომუნალური ხარჯი	7,557	3,476
კომუნიკაციის ხარჯები	5,042	4,499
დაცვის მომსახურება	4,761	-
უიმედო ვალის ხარჯი	-	105,692
სხვა საერთო ხარჯი	13,346	14,015
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	412,286	360,785

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;
- (ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა. საწარმოს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები		
შპს ჰოტელ გუდაური რესორტი	1,161,283	1,159,658
შპს ჯი.სი.სი	213,963	176,691
შპს გუდაური რესორტი	101,745	100,097
შპს პრემიუმი	17,644	2,806
შპს გსკ	6,024	18,810
ამხანაგობა ქვეთარაძე 2005	1,120	1,120
სულ სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,501,778	1,459,181
სავაჭრო ვალდებულებები		
შპს ჯორჯიან ბილდინგ კორპორეშენი	(379,177)	(516,260)
შპს ბეტონ სერვისი	(19,392)	(13,027)
სულ სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	(398,569)	(529,287)
სახელშეკრულებო ვალდებულება		
ამხანაგობა ქვეთარაძე 2005	(7,915,121)	(2,857,342)
სულ სახელშეკრულებო ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან	(7,915,121)	(2,857,342)

შპს მენო ინტერნეიშნლ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ამონაგები

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი		
ამხანაგობა ქავთარაძე 2005	4,074,063	1,361,810
სულ სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი	4,074,063	1,361,810

სხვა შემოსავალი		
შპს ჯი.სი.სი	34,791	87,234
შპს ჯორჯიან ბილდინგ კორპორეშენი	30,420	42,168
შპს გსკ	16,195	15,584
შპს პრემიუმი	14,900	1,123
შპს გუდაური რესორტ	1,608	8,415
შპს ბეტონ სერვისი	1,462	1,589
შპს პოტელ გუდაური რესორტი	1,377	8,956
ფ/პ გიორგი კურცხალია	847	2,350
ამხანაგობა ქავთარაძე 2005	-	72,649
სულ სხვა შემოსავალი	101,600	240,068

პირდაპირი ხარჯი		
შპს ჯორჯიან ბილდინგ კორპორეშენი	75,569	43,188
შპს ბეტონ სერვისი	4,568	1,237
სულ პირდაპირი ხარჯი	80,137	44,425

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.